პარტიკულარულ საგანთა იდეების თეორია პლოტინის ფილოსოფიის მიხედვით

დავით ფარცხალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან გიგინეიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

აბსტრაქტი

ჩემი ნაშრომით მსურს გამოვკვეთო და თანამედროვე კვლევების გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად გადავჭრა პლოტინის ფილოსოფიაში პარტიკულარული იდეების თეორიასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები. უპირველეს ყოვლისა მიმაჩნია, საჭიროა კერძო პასაჟების ინტერპრეტაცია კონტექსტის სიღრმისეული გაანალიზებით და ამავე დროს საჭიროა ზოგადმა კონტექსტმა არ გადაძალოს მკლევარის ყურადღება და კონკრეტული პასაჟები არ იქცეს მეორეხარისხოვნად. ასეთი ბალანსის შენარჩუნების მცდელობით მივდივარ დასკვნამდე, რომ პლოტინის ფილოსოფიური სწავლებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს სწავლება ინდივიდის იდეების შესახებ, რომ ეს სწავლება მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემასთანაა დაკავშირებული, მაგალითად ისეთთან როგორიცაა ნეოპლატონიზმში ამაღლების შესახებ სწავლება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პლოტინი, პარტიკულარული, ამაღლება, ერთი, გონება, ინტელექტი, იდეა, ფორმა.

Abstract

In considering of Modern Studies, my work aims discussing the problems of Plotinus philosophy, concerned with Particular Ideas and as far as possible, solve this problematic. First of all, I think that it is necessary to interpret the concrete passages in considering the depth of general context and it is also important that, general context does not have to neglect the importance of concrete passages for researcher. Attempting to maintain the balance, I come to conclusion, that one of the most important task in Plotinus philosophical doctrine, is the teaching concerned with the ideas of individual and for its part this is connected with many problems, such as The Doctrine of Ascent in Neoplatonism.

Key Words: Plotinus, Particularity, Ascent, One, Mind, Intellect, Idea, Form.